საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 9 21 0000315453

01/04/2021

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მიმდინარე წლის 26 მარტს შემოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს №290765 კორესპონდენცია, რომელიც ეხება ინდონეზიის მთავრობის მიერ გამოყოფილ სასწავლო სტიპენდიებს განვითარებადი ქვეყნების სტუდენტებისთვის ქ. მალანგის სახელმწიფო უნივერსიტეტში (Universitas Negari Malang) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე.

გაცნობებთ, რომ სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში ინდონეზიის განათლებისა და კულტურის სამინისტრო სრულად ფარავს სტუდენტების სწავლის, ცხოვრების, საერთაშორისო ავიაბილეთის და სამედიცინო დაზღვევის ხარჯებს. იმის გათვალისწინებით, რომ სწავლა წარმოებს **ინდონეზიურ ენაზე** (ბაჰასა), სწავლის დაწყებამდე სტუდენტები გაივლიან ინდონეზიური ენის ერთწლიან კურსს, რომელიც ასევე ინდონეზიის მთავრობის მიერ ფინანსდება.

სასტიპენდიო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია თანდართულ დოკუმენტში.

პატივისცემით,

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების
განვითარების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
წერეთელი ნინო

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge